GEL სალაროს შემოსავლის ორდერი No 56/59569

ს.ს. "საქართველოს ბანკი"

ოპერაციის თარიღი 30/04/2012

ვალუტირების თარიღი 30/04/2012

ცენტრალური ფილიალი

კოდი BAGAGE22

მიმღები	**დებეტი**
საქ. იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ	100598102601000000
მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი	**კრედიტი**
205263873	GE41BG0000000222222222
გადამხდელი	**თანხა**
ნაკაშიძე მანანა	4,280.00 GEL

გადამხდელის დოკუმენტის მონაცემები

პირ.მოწმ. პ/ნ:01007008061 სერია:გ No:0200729 13/10/1998 ქუთაისის მე 2ქალაქის განყოფილება

თანხა სიტყვიერად

ოთხი ათას ორას ოთხმოცი ლარი 00/თეთრი

დანიშნულება

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჯარიმა და საურავი, მიმღები: [illegible] ფონდი ფოლომი-2005", საქმის ნომერი A 12024413, გადამხდის იდენტიფიკატორი: 1208391118

გადამხდელის ხელმოწერა   კონტროლიორი   ოპერატორი   მოლარე

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA ცენტრალური ფილიალი BAGAGE22 158

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 2451-11 15 04 2011წ.

დადგენილება №000528
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

15.04.2011წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსმა ზვიად კერვალიშვილმა განვიხილე 2011 წლის 1 თებერვლის №000528 მითითება და 2011 წლის 21 თებერვლის №000528 შემოწმების აქტი შედგენილი ამხანაგობა ი.ბ.ა. "დიდი დიღომი-2005"-ის (მის.: ქ. თბილისი, დიდი დიღმის დასახლება I მ/რ, ცენტრალური გზის მიმდებარედ, (უბანი I) (ნაკვ.№014/043)) მიმართ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის "ა" პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლება I მ/რ, ცენტრალური გზის მიმდებარედ, (უბანი I) ნაკვ. №014/043-ში, ამხანაგობა ი.ბ.ა. "დიდი დიღომი-2005"-ის მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 17.11.2009წ. №01/1696 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ "ა" ბლოკის "0-13" ფასადზე "5" ღერძის ორივე გვერდზე, III სართულიდან X სართულის ჩათვლით ლოჯიის ღიობები შემცირებულია. "ო-ა" ფასადზე "დ-ა" ღერძებს შორის VI სართულზე აივანი არ არის მოწყობილი.

სამსახურის სპეციალისტის მიერ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2011 წლის 1 თებერვალს შედგენილი იქნა მითითება №000528 (მხარეს ჩაბარდა ობიექტზე განთავსებით 2011 წლის 9 თებერვალს), რომლითაც განესაზღვრა 10 (ათი) კალენდარულ დღიანი ვადა ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად ან მითითების გაცემის მომენტისათვის არსებული სანებართვო დოკუმენტაციის (კორექტირებული პროექტისა და მშენებლობის ნებართვის) წარმოსადგენად.

2011 წლის 21 თებერვალს "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000528 (მხარეს ჩაბარდა ობიექტზე განთავსებით 2011 წლის 24 თებერვალს), რომელშიც

დაფიქსირდა ამხანაგობა ი.ბ.ა. "დიდი დიღომი-2005"-ის მიერ მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2011 წლის 4 მარტს, 11 მარტს, 21 მარტს და 8 აპრილს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გამართა საქმის განხილვები. საქმის განხილვათა თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომებზე არ გამოცხადდა ამხანაგობა ი.ბ.ა. "დიდი დიღომი-2005"-ის წარმომადგენელი.

2011 წლის 15 აპრილს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით კვლავ გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა სამართალდამრღვევს. საქმის განხილვაზე გამოცხადდა ამხანაგობა ი.ბ.ა. "დიდი დიღომი-2005"-ის წარმომადგენელი მოქ. მერაბ ჯანელიძე (პირადი №01024011208; მინდობილობა გაცემული ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "დიდი დიღომი-2005"-ის

თავმჯდომარის მიხეილ მესხიძის (პირადი №01008022055) მიერ, სანოტარო აქტი, რეესტრში რეგისტრაციის №090324034, რეგისტრირებული ნოტარიუს სოსო მუმლაძის მიერ 23.07.2009წ.), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება, მათზე აღნიშნულ თარიღებში. მანვე განაცხადა, რომ დარღვევა: "ა" ბლოკის "0-13" ფასადზე "5" ღერძის ორივე გვერდზე, III სართულიდან X სართულის ჩათვლით ლოჯიის ღიობები შემცირებულია - ასახულია პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში და გამორჩენილია პროექტის არქიტექტურულ ნაწილში, რაც შეეხება, დარღვევას: "ო-ა" ფასადზე "დ-ა" ღერძებს შორის VI სართულზე აივანი არ არის მოწყობილი – გამოსწორდება მშენებლობის პროცესში, ვინაიდან, მშენებლობა არის მიმდინარე პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ამხანაგობა ი.ბ.ა. "დიდი დიღომი-2005"-ის მიერ ჩადენილია "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-მუხლის "ა" პუნქტის "ა.გ" ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლება I მ/რ, ცენტრალური გზის მიმდებარედ, (უბანი I) ნაკვ. №014/043-ში, ამხანაგობა ი.ბ.ა. "დიდი დიღომი-2005"-ის მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 17.11.2009წ. №01/1696 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ "ა" ბლოკის "0-13" ფასადზე "5" ღერძის ორივე გვერდზე, III სართულიდან X სართულის ჩათვლით ლოჯიის ღიობები შემცირებულია. "ო-ა" ფასადზე "დ-ა" ღერძებს შორის VI სართულზე აივანი არ არის მოწყობილი.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის მე-14 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-17 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-18 პუნქტით, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტითა და 23-ე მუხლის "ა" პუნქტის "ა.გ" ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. ი.ბ.ა. "დიდი დიღომი-2005" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხი ათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2 ი.ბ.ა. "დიდი დიღომი-2005"-ს დაევალოს, "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის

შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: მიმღების დასახელება – ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო ანგარიშის ნომერი – 200122900 ს/ნ 206160606; მიმღების ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – 220101222; არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევებისთვის ჯარიმის სახაზინო კოდი – 300773263

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ი.ბ.ა. "დიდი დიღომი-2005"-ს დაევალოს შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით "დაკისრებულის ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში) დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი ზ. კერვალიშვილი

